Funded by the European Union

ტრენინგი და ოპერატიული პარტნიორობა ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ (TOPCOP)



განხორციელების ვადა: 01.07.2020 - 01.07.2024

EaP ქვეყნები:

აზერბაიჯანი, ბელარუსი, მოლდოვა, საქართველოს, სომხეთი, უკრაინა

ევროკავშირის წვლილი: € 6 000 000

მთლიანი ბიუჯეტი: € 6 000 000

განმახორციელებელი ორგანიზაცია (ებ):

CEPOL, EUROPOL

პროექტის ვებსაიტები: cepol.europa.eu/projects/topcop

პროექტის აღწერა:

პროექტი „ტრენინგი და ოპერატიული პარტნიორობა ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ“ წარმოადგენს მრავალწლიანი სამუშაო პროგრამის ნაწილს, რომლის ზოგადი ამოცანაა ორგანიზებული და სერიოზული საერთაშორისო დამნაშავეობის მაჩვენებლის შემცირება აღმოსავლეთ სამეზობლოს რეგიონში. შემოთავაზებული საქმიანობის მიზანია თანამშრომლობის გაუმჯობესება აღმოსავლეთ სამეზობლოს რეგიონში, ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში და ევროკავშირის უწყებებში, რომლებიც მუშაობენ სერიოზული და საერთაშორისო ორგანიზებული დანაშაულის პრევენციის და მასთან ბრძოლის სფეროში, ევროკავშირის პოლიტიკური ციკლის შესაბამისად. პროექტის მიზანია თანამშრომლობის ხარისხის გაუმჯობესება და მისი გრძელვადიანი სტაბილიზაცია. ევროპის პოლიციის კოლეჯის (CEPO) მიზანია იმგვარი მეთოდოლოგიის გამოყენება, რომლებიც გამოიყენება ევროკავშირის სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლობის მხარდასაჭერად ტრენინგის საშუალებით; გარდა ამისა, მას სურს გააფართოვოს ევროკავშირის არსებული თანამშრომლობის ინსტრუმენტები იმავდროულად სათანადო მოქნილობის და ადაპტაციის უზრუნველყოფით, პარტნიორი ქვეყნების საჭიროებების დასაკმაყოფილებლად რეგიონში. პროექტი ხელს შეუწყობს ადგილობრივი საკონტაქტო ორგანოების შერჩევას აღმოსავლეთ პარტნიორობის თითოეულ ქვეყანაში, რომლებიც კოორდინაციას გაუწევენ სტრატეგიული მონაცემების შეკრებას. შეიქმნება აღმოსავლეთ პარტნიორობის საფრთხის შეფასების დოკუმენტის სამუშაო ვერსია, რომელიც ორგანიზებულ დანაშაულთან დაკავშირებულ საფრთხეებს განსაზღვრავს. ერთ-ერთია ამოცანაა ინსტრუმენტით უზრუნველყოფა ევროპოლთან სამომავლო თანამშრომლობის მხარდასაჭერად.

მოსალოდნელი შედეგები:

- ოპერატიული და სტრატეგიული თანამშრომლობის გაძლიერება ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებთან და ორგანიზაციებთან ევროპის დანაშაულის საფრთხის საწინაღმდეგო მულტიდისციპლინური პლატფორმის (EMPACT) საშუალებით.
- სამართალდამცავი უწყებების პოტენციალის გაუმჯობესება აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში ორგანიზებულ და სერიოზულ საერთაშორისო დანაშაულთან საბრძოლველად საჭიროებების ანალიზის ჩატარების საფუძველზე.
- ოპერაციული დაგეგმვის გაუმჯობესება დაზვერვის საფუძველზე აღმოსავლეთ სამეზობლოს რეგიონის ქვეყნებში.